დამტკიცებულია: სსიპ - კოლეჯის „ოპიზარი“
დირექტორის ბრძანებით N56 13/06/ 2019 წელი
შესულია ცვლილება:ბრძანებით N142 27/12/2023 წელი

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“
თამბაქოს მოხმარების წესი

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-8 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1711-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და თამბაქოს კონტროლის პოლიტიკისა და კანონის აღსრულების გზამკვლევით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესაბამისად და არეგულირებს სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. საქართველოში თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი კრიტერიუმები, პირობები და წესები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: თამბაქოს ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტად აღიარებას, არამწეველთა თამბაქოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის უფლების აღიარებას, თამბაქოს მოხმარების შეწყვეტისა და მოხმარების დაწყების პრევენციის ხელშეწყობას, თამბაქოს მავნე ზემოქმედების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებას და თამბაქოს ნაწარმის თაობაზე ინფორმაციის გამჭვირვალობას, თამბაქოს მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, თამბაქოს ნაწარმზე მოთხოვნილებისა და ამ ნაწარმის ხელმისაწვდომობის შემცირებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასა და არამწეველობის, როგორც ცხოვრების ნორმის აღიარებას.
3. სსიპ კოლეჯის „ოპიზარი“ მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის კოლეჯის ეზოში, აკრძალულია:
ა) თამბაქოს მოწევა;
ბ) თამბაქოს მოხმარების შედეგად არსებული კვამლის, ფერფლის, ნამწვის არსებობა, აგრეთვე ჩილიმის განთავსება;
გ) თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარების ან/და თამბაქოს მოხმარებისათვის განკუთვნილი მოწყობილობების რეალიზაცია ან/და განთავსება (ასევე კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე 50 მეტრის რადიუსში);
გ) თამბაქოს ნაწარმის რეკლამირება;
დ) თამბაქოს მოწევის დემონსტრირება ბეჭდური ან ელექტრონული საშუალებით;
4. კოლეჯში დასაქმებული პერსონალი, სტუდენტები/მსმენელები, ასევე ნებისმიერი პირი, ვალდებულნი არიან დაემორჩილონ კოლეჯში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით დადგენილ წესს.
5. კოლეჯი ვალდებულია არ დაუშვას თამბაქოს მოწევა, ხოლო თამბაქოს მოწევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დაუყოვნებლივ აღკვეთოს იგი იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა.
6. კოლეჯის ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები, შესაბამისი წარწერა და ნიშანი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის თაობაზე, აგრეთვე იმ ფიზიკური პირის/დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სხვა ინფორმაცია, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში;
7. წინამდებარე წესის დარღვევის შემთხვევაში კოლეჯის თანამშრომლები ვალდებული არიან:
ა) აცნობონ მწეველს, რომ იმყოფებიან მოწევისათვის აკრძალულ ადგილას და ჩადიან სამართალდარღვევას;
ბ) თავაზიანად მიუთითონ მწეველს შეწყვიტოს თამბაქოს მოწევა და შესთავაზონ მისი ჩაქრობის უსაფრთხო მეთოდი;

გ) განუმარტონ მწეველს, რომ მისი ქმედება გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს და შესაძლოა, შესაბამისი ზომები გატარდეს დაწესებულების მიმართ, რაც გულისხმობს კანონდამრღვევი დაწესებულების დაჯარიმებას.

8. იმ შემთხვევაში თუკი ფიზიკური პირი კვლავ გააგრძელებს თამბაქოს მოწევას, უარი უნდა ეთქვას მომსახურებაზე და მოეთხოვოს შენობის ან მისი ტერიტორიის დატოვება.

9. თუ ფიზიკური პირი განაცხადებს უარს დაემორჩილოს კანონის მოთხოვნებს, მის მიმართ უნდა გატარდეს კანონით დაწესებული პროცედურები.

10. ყველა მსგავსი ინციდენტი და გატარებული ღონისძიებები უნდა ეცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას შემდეგ საკონტაქტო ნომრებზე: 577 200 734

11. მწეველი პირის მხრიდან დაუმორჩილებლობისა და ძალადობის შემთხვევაში კოლეჯის ადმინისტრაცია უფლებამოსილია დაუკავშირდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელ ხაზზე - (112).